ფასი 50 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკა

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 60 სამშაბათი, 8 ოქტომბერი, 1918 წ. № 60

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲛ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲔᲫᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲐ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დღის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

დამწუხრებულნი მეუღლე ალვასი ასათიანის ასული, შვილები: ნინო და მარიამი (პაშა), ძმა რაჟდენი, დები: ივლიტე ჩხეიძისა და სოფიო საყვარელიძის ასული აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ

სამსონ გესარიუნის ძის საუვარელიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან 8 ოქტომბერს (ახ. სტ.) სალამოს 3 საათზე. ქ. ზესტაფონში, დაკრძალვა მოხდება მაცხოვრის ეკლესიაში ს. საქარაში პანაშვიდი ყოველ დღე საღ 5 საათზე.

მე II-ე წელ. **ᲕᲐᲥᲗᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ** მე II-ე წელ.

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაიღება 4 წელიწადში.
ᲥᲔᲜᲘᲐᲡ Ქ., № 11.

თხოვნები მიიღება უფალ კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და დიტერატურა სავალდებულო საგნებია. მაცდაბლობა საფასობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ერეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომელნაც გაოცებულნი აქვთ უმაღლეს დაწესებათა სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კახეთელთა გალებულია სალამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სასადილებელს. ეროვნული მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.
1917/18 წელს გიმნაზიამ მოწაფეებს გაუთავებია პირველად.

50—34 გიმნაზიის გამგე Ს. Ნ. ᲨᲣᲚᲒᲘᲜᲘ.

ᲬᲔᲡᲔᲑᲘ

ელექტრონის ძალით სარგებლობისა და მისი განაწილებისა ქ. ტფილისში

ელექტრონის ენერგიის მიწოდება საძნელო გახდა. არსებულ პირობების წყალობით ელექტრონის სადგურები თანდათან ფუჭდება, ხოლო საჭირო ნაწილების და სხვა მასალების უქონლობა აფერხებს მათი შეკეთების საქმეს.

სათბობი მასალა (ნავთი, მაზუთი) მცირედი და არის ქალაქში. ამიტომ ელექტრონის სადგურების ენერგიის რაოდენობა თანდათან მცირდება. ნავთისა და სანთლის უქონლობა თვალსაჩინოთ ამოავლებს იმ პირთა რიცხვს, რომელთაც ჰსურთ ისარგებლონ ელექტრონის ენერგიით.

საჭიროა, რომ ელექტრონის სინათლე მიეცეს იმას, რომელიც სრულიად არის ამ უკანასკნელს მოკლებული, ყველა ელექტრონის სადგურებს განათების ძალის გაღება შეუმცირდეთ.

უბნების ტეხნიკურ კომისიებს ქუჩების განათება ვადაქვეთ ტრამვაის ელექტრონის სადგურნედ, რითაც ქუჩების განათება უზრუნველყოფილ იქნება. ელექტრონულ სადგურების დატვირთვის შესამცირებლად ქალაქის გამგეობა თანახმად თავის დადგენილებისა და ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებისა, მიიღო შემდეგი წესები:

მოქალაქეს თავის ბინაზედ შეუძლიან იქონიოს თვითეული ოთახში არა უმეტესი ერთის 25—32 სანთლის ძალის ლამფა.

მოქალაქენი მოვალენი არიან თავიანთ ბინებში მეტი ლამფები თვითონვე გააუქმონ და მოხსნან.

ელექტრონის სადგურის პატრონს ევალება თავის აბონენტებს თვალ-ყური ადევნოს, რომ მათ გამორიცხონ მეტი წერტილები და შესასრულონ ეს წესდება.

კინემატოგრაფებს რიგ-რიგად შეუძლიანთ მართონ სეანსები საღამოს 9—11 საათამდის ორ დღეში ერთხელ.

ამ წესდების დამრღვევნი მიეცემენ იქნებიან პასუხის გებაში სასჯელთა კანონის 29 მუხლის ძალით.

რომ აბონენტებს მძღავრი ელექტრონის შუქის ძალა არ მოაკლდეთ და ენერგიის ულარგებლოდ დაკარგვის თვიდან ასაცილებლად საეციალური კომისიები ახდენენ რაიონების გადანაწილების ელექტრონულ სადგურთა შორის, მხოლოდ ის სადგურები, რომლებიც თხოულობენ შეკეთებას, შეჩერებულ იქნებიან და მისი აბონენტები გადირიცხებიან სხვა სადგურზედ.

ელექტრონულ სინათლის გაყვანის მსურველნი განაწილდებიან სამ კატეგორიათ:

1) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი.

2) ის პირნი, რომლებიც სინათლის გაუქმებით ცხოვრების სახსარი ესპობათ და აგრეთვე ის პირნი, რომლებიც ოჯახში არიან ხორნკული მძიმე ავადმყოფნი.

3) ის მოქალაქენი, რომლებიც ამ ჟამათ ელექტრონის შუქს არიან მოკლებულნი.

ელექტრონის სადგურების პატრონნი, თუ ტეხნიკური დამაბრკოლებელი მიზეზები ხელს არ შეუშლის, მოვალენი არიან ქალაქის საბჭოს 22 აგვისტოს 1918 წ. გადაწყვეტილების ძალით, ზემოაღნიშნულ რიგზედ აბონენტები შეიერთონ და მასთანვე ახალ აბონენტების სიები კვირაში ერთხელ ქალაქის გამგეობას წარუდგინონ. 616 1—1

სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. ნ. დ. ლეონიძის დირექცია.

სამშაბათს 8 ოქტომბერს 1918 წ.

ოპ. 4 მოქმ. **„ᲪᲐᲠᲡᲙᲘᲐ ᲜᲘᲕᲔᲡᲢᲐ“** მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნი ვ. ლეონიკაისა, იანსა მორაზოვისა. ბ-ნი ბერეზინი, მოლჩანოვი, პალიაევი, ნიკოლსკი, დემიანენკო. დირიჟორი ჩერეპნინი. დასაწყისი 8 საათზე. ოთხშაბათს 9 ოქტ „რიგოლეტო“, ხუთშაბათს 10 ოქტ. „დუბროვსკი“, პარასკევს 11 ოქტ. „პიკოვაია დამა“. 617 1—1

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი

ამით აცხადებს, რომ ტფილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარ-საწყობში 13 ოქტომბერს საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 2464 ფუთი ხორბლის მტვერი, 2026 ფუთი უვარგისი ღანძილის წნილი, 250 ფუთი შაქრის მტვერი, 1720 ფუთი წიწაკა, 3214 ფუთი დაფის ფოთოლი და 1576 ფუთი ქაშაპი-თევზი (сельди), ხოლო 6 ოქტომბერს საჯარო ვაჭრობითვე გაიყიდება მეორე სასურსათო მთავარ საწყობიდან 200 ფუთი ხორბლის მტვერი. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე. დაწერილებითი პირობების გაგება მსურველნი შეუძლიანთ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობებში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში. 560. 3—3.

ᲥᲐᲙ-ᲓᲐᲚᲙᲠᲝᲖᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲣᲚᲘ ᲒᲘᲛᲜᲐᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ: რითმიული გიმნასტიკა, რიტმა, სოლფეჯიო, ამშრომზეცა გიმნასტიკა, შეკერვა.

მიიღებიან ბავშვები ხუთი წლიდან. აგრეთვე მოზდილები ორივე სქესისა:
საეციალური კურსები მსახიობთათვის და მუსიკოსებისათვის.

მეცადინეობა დაიწყება 10 ნოემბერს. კურსებზე ჩაწერა შეიძლება ინსტიტუტის ბინაზე.

გოლოვინის პროსპექტი, ყოფილი კადეტთა კორპუსი, დილის 12—2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ Ფ. Ი. ᲛᲐᲢᲘᲜᲘᲝᲜ-ᲖᲐᲚᲪᲒᲐᲜᲘᲡᲐ.
565 (3—2)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელ'ში სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს. (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება: 1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. უნა, ლიტერატ. და საქართ. ისტ.) 2. ბუნების მეტყველებისა და მათემატიკისა.

ცნობა: 1) ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლიან ყველას, ვისაც სავაჟო ან საქალო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია. 2) ინსტიტუტის პირველ კურსზე იღებ სტიპენდიატის ადგილია თავისუფალი. 3) თხოვნები მიიღება ინსტ. კანცელარიაში, დიდი მთავრის ქუჩა (Великн. ул.) № 91. 6—3



* * *

1.

ისმინეთ ჩვენი მოწოდების ხმა
სამშობლო ქვეყნის მოქალაქენო:
ლატარიისკენ! ლატარიისკენ!
არვინ ჩამორჩეთ თანამომენო!

2.

თუ ხელოვნებას ზიარებულხართ
და თაყვანსაც სცემთ მის მფარველ
ღმერთებს,—
დაეხმარეთინ მის კეთილ მსახურთ,
ვინც საეროვნო საქმეს აკეთებს!

3.

ხალხო ქართველო! ერთის დღით
მაინც
თავი ანებე ნუნუას წვეთებს,
გასწი გულ-უხვად ლატარიისკენ
და მოწერე ხელი ბილეთებს!

412 60—18

ᲔᲥᲘᲛᲘ Ი. Კ. ᲐᲒᲐᲯᲔᲚᲘᲐ
ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲜᲘ.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აკანისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ქლეტისა, სისხლნაკლულობისა ღა მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

20 ენკენისთვე, 1918 წ. ქ. ტფილისი.
№ 4.

დანიშნულ იქმნენ: მთავარ საბაჟოში უმცროსი კონტროლიორი დომენტი დოლაბერიძე—უფროს კონტროლიორად.

უფროსი თანაშემწე მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველისა ნიკოლოზ გიორგობიანი—ლაგოდეხის საბაჟოს მართველად, ორივენი ამა წლის 15 ენკენისთვიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ᲔᲣᲠᲣᲚ Ი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

30 ენკენისთვე, 1918 წ.
№ 48.

დანიშნულ იქმნა: სააქციზო მართველობის მეექვსე ოლქის ზედამხედველის უფროსი თანაშემწე არშაკ სტეფანეს ძე ტერ-სტეფანოვი—ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს არაპირდაპირ გადასახადების მცირე განყოფილების გამგის თანაშემწედ, 28 ენკენისთვიდან.

30 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 49.

დანიშნულ იქმნა: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საბიუჯეტო განყოფილების ბუჰალტერი ნიკოლოზ გრიგოლის ძე სკიბიცკი იმავე კანცელარიაში საბიუჯეტო მცირე განყოფილების გამგედ, ამა წლის 1-ლ ივნისიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
მინისტრი ქ ურ ულ ი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
კონტროლიორისა.

30 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 7.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა კონტროლის მოანგარიშე—მიხეილ ბონდარი, 1918 წლის 27 ივლისს № 4-ით ჩემ მიერ გაცემულ ბრძანებით თანამდებობიდან განთავისუფლებულია 1 ავგისტოდან ამა წლისა—სამსახურში გამოუცხადებლობისათვის, ჩაირიცხოს თანამდებობიდან განთავისუფლებულად შტატის შემცირების გამო იმავე 1 ავგისტოდან სალიკვიდაციო ფულის მიცემით.

სახელმწიფო კონტროლიორი
ფ. გოგიჩაიშვილი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა.

24 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 37.

სახალხო განათლების მინისტრი გიორგი მიხეილის მე ლასხაშვილი განთავისუფლებულ იქმნა სამსახურიდან მისი თხოვნის თანახმად, სამის კვირის ვადით 24 ამა სექტემბრიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყ ო რ დ ა ნ ი ა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

27 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 47.

დანიშნულ იქმნა: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მდივნად ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის კანცელარიის საერთო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე ლევან ალექსანდრეს ძე წერეთელი.

განთავისუფლებულ იქმნა თანამდებობიდან სოხუმის საბაჟოს გამგე დანიშნის გამო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მდივანი სიმონ ალექსის ძე ქვარიანი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
მინისტრი ქ ურ უ ლ ი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების
მინისტრისა.

16 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 61.

დანიშნულ იქმნენ: მ. ი. ივანოვი—გორის და შორაპანის მაზრების სამკურნალო წყლების მმდეკ კომისიის თავმჯდომარედ.

გეოლოგი სპირნოვი— გორისა და შორაპანის მაზრების სამკურნალო წყლების მმდეკ კომისიის გეოლოგად.

№ 62.

დანიშნულ იქმნენ: ტყეთა უმცროსი რევიზორი ა. პ. გრიცენკო—ტყეთა უფროს რევიზრად ტფილისის გუბერნიაში.

გორის ტყის საქმეთა გამგე ი. ი. ზაკტრეგერი—ტყეთა უმცროს რევიზორად ტფილისის გუბერნიაში.

საადგილ-მამულო მთავარ - სამმართველოს სატყეო განყოფილების საქმის მწარმოებელი ი. ფ. იუზბაშევი—ყარაიაზის ტყეთა პირველ ხარისხის გამგედ.

ტყის საქმეთა გამგის თანაშემწე ნ. დ. იაროშენკო—მეორე ხარისხის ტყის საქმეთა გამგედ გორში, ოთხიანენი 1918 წ. 16 ენკენისთვიდან.

მესამის ხარისხის ტყის საქმეთა გამგე თელავში ი. გ. სუკერნი—მეორე ხარისხის ტყის საქმეთა გამგედ ამა წლის ენკენისთვის 5-დან.

№ 63.

დანიშნულ იქმნენ: 1) ამიერ კავკასიის სამიწათ-მოქმედო საამშენებლო რაზმის უფროსი საქმის მწათ-მოგბელი ა. პ. ლისოვსკი—საადგილ-მამულო მთავარ სამმართველოს საიალაღო გადასახადთა განყოფილების გამგის თანაშემწედ.

2) კავკასიაში მიწადმოქმედების რწმუნებულს მიწების საქმეთა მოწყობის მდივანი გ. ა. ოვჩარი იმავე საიალაღო გადასახადთა განყოფილების მოანგარიშედ. ორივენი ამა წლის 15 ენკენისთვიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხ ო მ ა ვ რ ი ა ნ ი.

№ 64.

დანიშნულ იქმნენ: დროებით სოფლის ოლქის საადგილ-მამულო კომიტეტის წევრებად. ვ. ბ. იზმაილოვი, მ. ა. ვოსკობოინიკოვი, ზ. ს. ბეიოვარუნ, ს. ნ. დავლეშვილი, ბ. ნ. ვასილიევი და კანდიდატად ა. მ. ფარულია, ყველანი ამა წლის აგვისტოს 13-დან.

სოფლის ოლქის საადგილ-მამულო კომიტეტის წინანდელნი წევრნი იმავე წლის აგვისტოს 13-დან დათხოვნილ არიან.

№ 65.

განთავისუფლებულ იქმნენ სამსახურიდან: ტფილისის გუბერნიის საადგილ-მამულო სამმართველოს გაუქმების გამო შტატგარეშე დარჩენილნი თავმჯდომარე ი. მ. მარუაშვილი, სამმართველოს წევრები: დ. ი. ციხაიოვი, მ. რ. ალი-ზადე, ჰ. მ. ეფრემიძე, საქმის მწარმოებელი ი. ხ. კვეღაშვილი. საწერ მანქანაზედ მომუშავე ქალები: მ. ა. ტერმესროპიანცი, ვ. ა. ბელოვანი და ა. მ. ერისთავი, რეგისტრატორი ს. ჰ. დარჩინიანცი, მწერლები: ც. დ. ალავიძე და გ. რ. კორინთელი. ყველანი ამა წლის 15 ენკენისთვიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხ ო მ ა ვ რ ი ა ნ ი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

20 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 68.

დანიშნულ იქმნა: ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვალერიან დავითის ძე კვიტაშვილი—საადგილ-მამულო მთავარ-სამმართველოს აგრარულ რეფორმათა განყოფილების საქმის მწარმოებლად ამა წლის აგვისტოს 28-დან.

№ 69.

შერემეტიევის მამულის „კარდანახი"-ს ყოფილი მმართველი ჰ. ნ. ავერკინი—მამულ „კარდანახი"ს მმართველად 1917 წ. ენკენისთვის 16-დან. და წლიური ჯამაგრად 4,800 მან. დანიშნეს.

№ 70.

ინჟენერი გ. ს. ხუნდაძე—ბორჯომის მამულის მმართველად ენკენისთვის 21-დან.

№ 71.

ტეხნიკოსები: სოსელი, ბეეფუაშვილი, ჩერქეზიშვილი და გოგუაძე ცენტრალური საადგილ-მამულო სამმართველოს მიწის მზომელებად შტატ გარეშე, პირველი ორი ენკენისთვის 1-დან., 400 მან. თვიურ ჯამაგრით.

№ 72.

განთავისუფლებულია: საადგილ-მამულო მთავარ სამმართველოს დროებითი თავმჯდომარე ა. ხ. როდოვი, თავისის თხოვნის თანახმად, აღინშნულ თანამდებობიდან ოქტომბრის 1-დან.

23 ენკენისთვე.

№ 73.

დანიშნულ იქმნა: მ. ლ. ცქიტიშვილი—მეორე ხარისხის ტყის საქმეთა გამგის თანაშემწედ, ალაზანის გალმა რაიონში. ენკენისთვის 23-დან.

№ 74.

დათხოვნილია თანამდებობიდან: მარტყოფის რაიონის ყოფილი კერძო მფლობელობის ტყეთა მმდეკი კომისიის ტეხნიკოსი რ. ფ. ზეიდენბერგი.

დანიშნულ იქმნენ: 1. ტყის საქმეთა გამგის თანაშემწე ბაიმატოვი—ლენინოთის რაიონის ყოფილი კერძო მფლობელობის ტყეთა მმდეკი კომისიის თავმჯდომარედ.

2. მეორე ხარისხის უმცროსი მენინერე ბაფუკოვი—ამავე კომისიის ტეხნიკოსად.

3. ინჟენერი ა. მ. ბოლნინდინი—მარტყოფის რაიონის ყოფილი კერძო მფლობელობის ტყეთა მმდეკი კომისიის ტეხნიკოსად. ყველანი ენკენისთვის 23-დან.

№ 75.

სამსახურ გარეშე მყოფი ტყეთა რევიზორი ი. ა. ქოქაძე პირველი ხარისხის ტყის საქმეთა გამგეთ გურიაში. ენკენისთვის 23-დან.

№ 76.

დანიშნულ იქმნენ: მიწათ-მოქმედების მინისტრის კანცელარიის მმართველის თანაშემწე გიორგი სტეფანეს ძე ბერიძე—ამა კანცელარიის მმართველად.

მოქალაქე ალექსანდრე სიმონის ძე სვანიძე მიწათ-მოქმედების მინისტრის კანცელარიის მმართველის თანაშემწედ.

სოხუმის ბაღების და სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურის მეველე ივანე მიხეილის ძე კუპრიანოვი—ამავე სადგურის დროებით გამგეთ. სამივე ენკენისთვის 1-დან.

დათხოვნილია სამსახურიდან: სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურის საველე განყოფილების გამგე ვ. ე. კოკეიორესკი, თავის ნებით სამსახურიდან წასულისა გამო საღიკვიდაციო ფულის მიუცემლად ივლისის 15-დან.

ენკენისთვის 24.

№ 77.

დანიშნულ იქმნა: მოქალაქე ერმოლოზ ივანეს ძე სარბილაძე საადგილ-მამულო მთავარ სამმართველოს წევრად.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხ ო მ ა ვ რ ი ა ნ ი.

განკარგულება

შინაგან საშინაოსტროსან ჩრდილოეთ საქმეთა-
სასანიტარო განყოფილება

25 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 44

განთავისუფლებულ იქნენ სამსახურიდან და თანამდებობიდან ამა წლის 25 ენკენისთვიდან მეშვიდე საექიმო-ზედამხედველ რაზმის უფროსი ექიმი კენინი, ექიმის თანაშემწენი კოსტიკოვი და ლევიცკი, მოწყალების დანი მასხარაშვილი, მაღალაშვილი და ჩერნიშევა, რომელთაც უნდა მიეცეთ სრული ანგარიში.

№ 45.

გაგზავნილ იქნა: საექიმო-სასანიტარო განყოფილების ექიმი მ. ს. ალაგვანიე—სოხუმის ოლქში და ქ. სოკაში, ადგილობრივ საექიმო-სასანიტარო მდგომარეობის გასაცნობად და გამოსარკვევად და საჭირო ზომების მისაღებად.

№ 46.

დანიშნულ იქნენ: მიხეილის საავთომყოფოში ექიმის თანაშემწის თანამდებობაზე მუშაობად და ბიხოვსკი ორივენი 15 ენკენისთვიდან.

№ 49.

ბუხჰალტრის თანაშემწის ადგილზე შტატგარეშე საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში არ. ე. სულიევი.

№ 50.

ექ. იოსეს პავლეს ძე მშვიდლიშვილი—სასანიტარო-ეპიდემიურ ექიმად ბორჯომის რაიონში, ამა წლის 9 ენკენისთვიდან.

საექიმო-სასანიტარო საქმის უფროსი
მ. ზანდუკელი.

დ ე ბ ა ტ ლ ე ბ ა

დროებითის საოფიცრო საინჟენერო კურსებისა.

1. წესდება დროებითი საოფიცრო საინჟენერო კურსები საინჟენერო ჯარებში გადაყვანისთვის იმ ოფიცრების მოსამზადებლად, რომელიც მივლენილნი არიან საინჟენერო ნაწილებში სხვადასხვა ჯარებითგან და სპეციალურ საქმეში გასავითარებლად საინჟენერო ჯარების იმ ოფიცრებისა, რომელთაც მიღებული აქვთ განათლება სამხედრო სასწავლებლების აჩქარებულად კურსის გავლის პროგრამით და სპარაპორშჩიკო სკოლებში, და აგრეთვე ბაოფიცრებულის ნებით ჯარში შესახებისა.

2. კურსები გრძელდება ექვსს თვემდე.

3. კურსები იმყოფება საინჟენერო-სატეხნიკო სექციის უფროსის გამგებლობაში.

4. კურსების გამგედ ინიშნება ერთერთი შტაბ-ოფიცერი საინჟენერო სატეხნიკო სექციის უფროსის არჩევით თვისის თანამდებობის ჯამაგირის შენარჩუნებით და დამატებითის გასამაჯელოს მიუცემლად.

5. კურსების გამგე მოსწავლე ოფიცრების მიმართ სარგებლობს დივიზიის უფროსის უფლებებით.

6. მიწერ-მოწერის საწარმოებლად, სასწავლო ხელსაწყობლად და ბინების გასამგებლად, შინაურს წესრიგზე თვალის დასაჭერად ინიშნება კურსების გამგის არჩევით საინჟენერო ჯარების ოფიცერთაგან საქმის მწარმოებელი, რომელსაც არ ეძლევა ცალკე გასამაჯელო და ენარჩუნება ის ჯამაგირი, რომელსაც იღებდა.

7. საქმის მწარმოებელი მოსწავლე ოფიცრების მიმართ სარგებლობს ბატალიონის უფროსის უფლებით.

8. კურსებზე შინაგან წესრიგი ისაზღვრება განსაკუთრებულის ინსტრუქციით, რომელიც მტკიცდება საინჟენერო სატეხნიკო სექციის უფროსის მიერ.

9. კურსებზე ისწავლება: სტატეკა, მასალათა წინამდეგობა, ელექტრო-ტეხნიკა, ანალიტიკა, ტოპოგრაფია, მასალები და სამუშაოები, სამხედრო გზები, ხანგრძლივი ფორტიფიკაცია, საველე ფორტიფიკაცია, ნალმის და ასაფეთქებელთა საქმე და ქართული ენა.

10. ოფიცრებთან მეცადინეობა ხდება საინჟენერო სატეხნიკო სექციის უფროსის მიერ დამტკიცებულის განსაკუთრებელის პროგრამების მიხედვით.

11. მასწავლებლებად მოწვეულ იქნებიან, შეძლებისამებრ, სპეციალის განათლების მქონენელი პირები.

12. კურსებზე მეცადინეობა სწარმოებს კურსების გამგის მიერ დამტკიცებულის ნუსხით და არაფრის შეცვლა გამგის შეუტყობინებლად და მის ნებადაურთველად არ შეიძლება.

13. მოსწავლეთა ცოდნის დაფასება ხდება ნიშნებით თორმეტ ბალიანის სისტემით.

14. კურსის განმავლობაში მეცადინეობის წარმატებულობის შესამოწმებლად ხდება რეპეტიციები, რომელთა რიცხვი განისაზღვრება კურსების გამგის მიერ მასწავლებლებთან ერთად.

15. კურსის გათავების შემდეგ მოსწავლეები გამოიცდებიან ყველა ნასწავლს საკანში საინჟენერო-სატეხნიკო სექციის უფროსის მიერ დანიშნულის კომისიის მონაწილეობით.

16. კურსების შესანახი ყოველი ხარჯი გაწეული იქნება იმ ფულითგან (20,000 მანეთი), რომელსაც იძლევა სამხედრო სამინისტრო.

17. რაოდენობა გასამრჯელოსი ლექციების კითხვისათვის, პრაქტიკულის მეცადინეობის და რეპეტიციებისთვის მტკიცდება საინჟენერო-სატეხნიკო სექციის უფროსის მიერ.

18. მასწავლებლობისათვის გასამრჯელოს მიცემა ხდება ყოველ თვიურად ნამდვილად გაწეულის მეცადინეობის საათების რიცხვის მიხედვით.

19. კურსები არის დილისა და საღამოსი:

საღამოსი: საინჟენერო ჯარების ოფიცერთათვის, რომლებიც დილით უნდა მეცადინეობდნენ თავის ნაწილებში.

დილისა: სხვადასხვა ჯარიდგან გამწესებულ ოფიცრებისათვის.

20. კურსებზე გამწესდებიან ოფიცრები იმ დროისთვის, რომელიც იქნება ნაჩვენები ცალკე განკარგულებით და მათ თან უნდა ჰქონდეთ ჯეროვანი ატესტატები, მოკლე წერილები ნამსახურობის შესახებ და ვინაობის მოწმობები.

21. კურსების ყველა მოსწავლენი ითვლებიან დროებით გამწესებულად.

22. კურსებზედ მისასვლელად და უკან დასაბრუნებლად ოფიცრებს ეძლევათ მისვლა-გამოსვლის ბარათები.

23. სიები ოფიცრებისა, რომელნიც ჩაირიცხებიან კურსების მსმენელებად და აგრეთვე რომელნიც გათავებენ კურსს, ცხადდება ბრძანებაში საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

24. კურსების მსმენელებად მყოფი ოფიცრები, რომელნიც აღმოჩნდებიან არა საკმარისად გულმოდგინენი თავიანთ მოვალეობისადმი და აგრეთვე რომელნიც თავადმყოფებენ სამს კვირაზე მეტს ხანს, თუ მორჩენის შემდეგ ვერ გაუთანასწორდებიან მეცადინეობაში დანარჩენებს, გაირიცხებიან კურსებითგან და საინჟენერო ჯარებშიაც ჩაირიცხებიან.

25. კურსების მოსწავლეთა გარიცხვა ხდება საინჟენერო-სატეხნიკო სექციის უფროსის განკარგულებით.

26. ოფიცრების ყოფნა კურსებზედ შეეტანება ნამსახურობის სიაში, ა) წარმატებით კურს გათავებულთათვის VII და IX სეტეტებში „დაასრულა დროებითი საოფიცერო კურსები ამა და ამ წელში"-საშუალო ბალი და ბ) კურს გაუთავებელთათვის ან არა-წარმატებით გათავებულთათვის IX სეტეტში—იმყოფებიდან დროებითის საოფიცერო კურსებზედ ამა და ამ რიცხვიდგან ამა და ამ რიცხვამდე.

26. 1 პუნქტში მოხსენებული ოფიცრები იტოვებიან საინჟენერო ჯარებში იტოვებიან მმოლოდიმ შემთხვევაში, თუ წარმატებით გაათავებენ კურსებს.

28. საინჟენერო ჯარებში გადაყვანა იმ ოფიცრებისა, რომელნიც მოხსენებულნი არიან 27 პუნქტში, ხდება შესაბამის უფროსის წარდგენილნისამებრ ბრძანებით სამხედრო უწყების მიმართ, მხოლოდ ერთ-ერთს საინჟენერო ნაწილში ბანაკად თავმოყრაში ყოფნის შემდეგ.

29. არ წამატებით კურს-გათავებულები ან კურსა გაუთავებლები უკან უნდა იქნენ წარგზავნილნი საინჟენერო ჯარებიდგან.

სამხედრო მინისტრი გ ი ო რ გ ა ძ ე.

არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 8 ოქტომბერი.

უდიდეს ისტორიულ ამბების წინაშე ვდგევართ. საერთაშორისო ომი გრძელდება. მაგრამ საერთაშორისო ზავი მოახლოვებულია.

და აი აქეთკენ უნდა მიეჭცეს და მიიმართოს ყველას ძალ-ღონე და ყურადღება, ვისაც კი უყვარს კულტურა, თავისუფლება, ერი და კაცობრიობა.

აქეთკენ უნდა ვდგდეს პირველყოვლისა ყველა ქეუნის და ყველი ხალხის დემოკ ტია. დაუყონებლივი ზავი—აი ლოზუნგი!

გერმანიის დემოკრატიამ უკვე სთქვა თავისი სიტყვა, თავისი ხაზავი სიტყვა, რომელიც ქვეყანას მოუხმობს, რომ ყველა ხალხის საკითხი დღეთ ომს სამუდამოთ მოეღოს ბოლო და უზრუნველყოფილი იქნეს ხანგრძლივი და მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლება.

გერმანიის მთავრობა თანახმაა საზავო მდგმარეობა ჩამოაგდოს ვილსონის პროგრამის მიხედვით. შემუშავდა საათანადო ნოტა საზავო მოლაპარაკების გასამართავად. გერმანიის ახალი პარლამენტარული და კოალიციონური მთავრობა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა 147

სანიშნავი ნაყოფია დიდებული ხალხის სისხლდაუღვრელი და მშვიდობიანი შინაური გამარჯვებისა.

ახალი მთავრობა, აღმკურვილი უმრავლესობის ნდობით არის ერთსა და იმავე დროს მთავრობა ზავისა და ნაციონალური თავდაცვისა. იგი მოითხოვს ზავს, მაგრამ ზავს საპატიოს და მტკიცეს, გერმანიის სახელმწიფოებრივი არსებობის ხელშეუხებლათ.

ამ საყოველთაო ზავის მოლოდინში გერმანია გაფფრებული იბრძვის და თავის დასაცავად უკიდურესთ ანვითარებს მოსაგერებელ ძალებს. გერმანიის ხალხმა იცის, რომ დღეს ვინც ადრე დაჰყრის იარაღს, ის დაიოპუპება და საერთო ზავის შესაძლებლობაც შორს გადაიდება. ს.-დემოკრატიული „ფორვერტსი“ მართალს ამბობს: ვაი იმ ხალხს, ვინც ხუთი წუთით ადრე დაჰკრის იარაღს, ვინმე ეს საჭიროა.

ჩვენ გვრწამს, რომ გერმანიის ხალხი, როგორც დიადი და უძლეველი იყო საერთაშორისო ომის ველზე, ისეთივე დიადი, ძლიერი და უძლეველი იქნება ახლა საზავო პოლიტიკის წარმოებაში, საყოველთაო მშვიდობიანობის ასპარეზზე

იმპერიალიზმი იძულებული ხდება ქედი მოიხაროს ხალხის მოთხოვნილების, დემოკრატიის სამშვიდობო ნება-სურვილების წინაშე.

ამ სამშვიდობო მოძრაობას ევროპაში ბანს აძლევს ამერიკიდან მთელი სოციალისტური დემოკრატიის კონგრესი-სრანს, კაცობრიობას ამდენი ტანჯვის შემდგ ნათელი დღე უთენდება. ზავს თხოულობს ცა და ქვეყანა.

გერმანიის კოალიციამ, უკვე გადასდგა საფუძველიანი ნაბიჯი ზავის ჩამოსაგდებათ. როგორ გამოეხმაურება მას ინგლისის კოალიცია, ამაზეა დამოკიდებული ხალხთა თავისუფლება და კაცობრიობის მშვიდობიანობის ბედი.

ინგლისის კოალიციამ უკანასკნელი ამბებით დამთვრალმა, შეიძლება სრულიად დაჰკარგოს თავი და უკუუგდოს მოწინაღმდეგის საზავო წინადადება, როგორც ამას წინათ მოიქცა. ეს იქნებოდა ისევ ეხნით იმპერიალისტური ბარბაროსობის გაგრძელება, რომლის სისხლმფრქეველი პასუხისმგებლობა ინგლისს დაეკუდება თავზე.

მაგრამ ჩვენ არ ვენდობით ინგლისის კოალიციის იმპერიალისტებს. ჩვენ იმედი გვაქვს მათი ხალხის, მათი დემოკრატიის, რომელიც სწორეთ დღეს არის ვალდებული გერმანიის დემოკრატიის ერთბამთან აჰკვეს და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული გამოვიდეს საყოველთაო მშვიდობიანობის, საერთაშორისო სპატიო, დემოკრატიული ზავის ჩამოსაგდებად.

ისტორია პასუხს ელის. კაცობრობა გმინავს. ერნი სისხლისაგან იცლებიან. ხსნა საერთაშორისო ზავის დამყარებაშია.

გაუმარჯოს ზავს!

საქართველოს რესპუბლიკა მხურვალე სალამს უძღვნის გერმანიის ხალხს, მის დემოკრატიას, გაბედული მოკმედებისათვის საყოველთაო ზავის ჩამოსაგდებათ.

კიდევ რეზოლიუციის გამო.

შკითხველმა კარგთ იცის, რომ ქალაქ ტფილისის საბჭოს სხდომაზე სექტემბრის 30-ს დაშნაკ-კადეტ-ესერების შეერთებული ხმით გადაწყდა: ქალაქის მილიციამ არავითარი დახმარება არ აღმოუჩინოს კონტრ-რევოლიუციასთან და სპეკულიაციასთან მებრძოლ განსაკუთრებულ რაზმს. ფაქტი ასეთი მოხდა.

განსაკუთრებული რაზმი დაარსებულია კანონის მიხედვით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დადასტურა. საქართველოს მთავრობამ იგი შეჰქმნა და გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც განსაკუთრებულ რაზმს ქალაქის მილიცია დახმარებას უნდა უწევდეს. ეი აქ გამოდის ქალაქ ტფილისის საბჭო და ამ დახმარებაზე უარს ამბობს, თავრობის განკარგულებას ეწინააღმდეგება. არსებითად საქმე ასეა: ამ რეზოლიუციით ტფილისის საბჭომ ესერ-კადეტ-დაშნაკელების კერძოსეეთ მთავრობას ამბოხება მოუწყო ქალაქის დარბაზში, არ დაემორჩილა მთავრობას, და ეს კიდევ ცოტაა, გადადგა ნაბიჯი, რომლითაც მთავრობის განკარგულება ქარწყლდება. რა არის ეს, თუ არა ამბოხება? და როდესაც ქალაქის გამგეობის წინ წამოიჭრა საკითხი: ვის დაემორჩილოსო: ამბოხებულ ხმოსნებს თუ მთავრობას,—მან საკითხი ისე გადაჭრა, როგორც გადასწყვეტდა მას კეთილგონიერი და შეგნებული მოქალაქე. მას არ შეეძლო არ დამორჩილებოდა კანონიერ განკარგულებას, მას არ შეეძლო თავისი საკუთარი კალმის მოსმით არაფად ექცია მთავრობის განკარგულება და... გადადგა. ამ გადადგომას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ერთად-ერთი გამოსავალი გზა იყო გამგეობისათვის. ამ ამბავმა აღიაქოთი გამოიწვია და ეს ისეც უნდა ყოფილიყო: ქალაქის თვითმმართველობა ერთ-ერთი დიდი დემოკრატიული დაწესებულებაა და იქ მოსხდარი ასეთი სერიოზული ამბები, ცხადია, ყურადღებას მიიქცევს.

ქალაქის საბჭოს საკითხი ასე უდგას: ან უნდა უკანნე წაიოოს თავისი რეზოლიუცია და ნდობა გამოუცხადოს გამგეობას, ან უნდა მოიახდინოს ახალი არჩევნები. პირველი დადგენილებით იგი აასრულებს თავის მოქალაქეობრივს მოვალეობას და თვითვე უზამს ლეკიდაციას თავისავე ამბოხებას. მეორე დადგენილებით იგი დაადასტურებს თავის ნაბიჯს და ამგვარათ პირდაპირი კოლიზია ექნება მთავრობასთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ მეორე არა გონივრულ ნაბიჯს ქალაქის თვითმართველობა ვერ გადადგამს და თუ კი—მაშინ კონფლიქტი აუცილებელი გახდება.

ყოველ შემთხვევაში ქალაქის საბჭოს უკანასკნელი ამბები დემოკრატიას ერთჯერ კიდევ თვალწინ უზლის ნამდვილ სურათს, თუ ვინ ტროგორი წარმომადგენელები ყავს მას თვითმმართველობაში. ვინ იცავს მის ინტერესებს და ვინ ელოლიავება კონტრ-რევოლიუციონერებს და სპეკულიანტებს.

ეროვნული საბჭო

მე-35 სხდომა

სამშაბათი, 3 ოქტომბერი 1918 წ. ტფილისი, სასახლე.

თავმჯდომარეობს თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი.

ექ. თაყაიშვილი. ეხლა, ბატონებო, განსახილველი გახლავთ დებულება რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს შესახებ. მომხსენებელი გახლავთ საბჭოს წევრი ოსეს ბარათაშვილი.

ი. ბარათაშვილი. (ს.-ფ.) ბატონებო, ნ ივლისს ჩვენ მივიღეთ საგანგებო კანონი სიკვდილით დასჯისა, როგორც უმაღლესი საფეხური სასჯელისა, მაგრამ, წესები წარმოებისა მაშინ ვერ შევიმუშავეთ. და აი დღეს განსახილველად სწორედ ეს წესები არის. აქ, ამ რესპუბლიკის დროებითი სასამართლოს დებულებაში, (კითხულობს) ტფილისში, ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქისათვის, ქ. ქუთაისში—ქუთაისის გუბერნისათვის და ქ. სოხუმში—სოხუმის ოლქისა და ქაკაეთელ ადგილებისათვის იმ საქმეთა განსახილველად, რომელნიც განისჯებიან 5 ივლისის 1918 წ. კანონით არსდება რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო ქვეშიდან მოყვანილ საფუძველზედ.

თავმჯდომარე. ვის სურს ამის შესახებ სიტყვა? არავინ. მაშასადამე, ვინ არის წინააღმდეგი, რომ მუხლ-მრიგ განხილულზე გადავიდეთ? არავინ. მაშინ ინებეთ პირველ მუხლზე გადასვლა.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს) ნაწილი პირველი.

მუხლი პირველი. რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო შესდგება თავმჯდომარისაგან, მისი ამხანაგისაგან და 5 წევრისაგან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? არავინ. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე პირველი მუხლი მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს) შენიშვნა ანი. თუ საჭიროება მოითხოვს მთავრობას უფლება აქვს გაამავლოს რიცხვი თავმჯდომარის და ბრალმდების ამხანაგისა და სასამართლოს წევრებისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს) შენიშვნა ბანი. სასამართლოს მდივანი და ა.ა.ერო რიცხვი კანცელარიის მოხელეთა რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს განკარგულებაში მოვალეობა დაეკისრება საოლქო სასამართლოს მოხელეთაგან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა?

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს) მუხლი მეორე. პირველ მუხლში აღნიშნულნი პირნი ინიშნებიან საქართველოს მთავრობის მიერ.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს) შენიშვნა. თავმჯდომარე, მისი ამხანაგი და ბრალმდებელი და მისი ამხანაგი უნდა იყვნენ უმაღლეს იურიდიულ განათლების მქონე პირნი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს) მუხლი მესამე. საქმის განსახილველად სასამართლო შესდგება თავმჯდომარის ან მისი ამხანაგისაგან, სასამართლოს ორი წევრისაგან და მდივნისა ან მისი თანაშემწისაგან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს) საქმის განხილვა საჭიროა, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს კარები დახუროს, თუ ამას საჭიროდ დაინახავს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის იუსტიციის მინისტრს შალვა მესხიშვილს.

იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი. სიტყვა კი არა, პატარა შენიშვნა მინდა შემოვიტანო. აქ ნათქვამია: „საქმის განხილვა საჭიროა“. ეს არის შეცდომით. უნდა ითქვას საჯაროა. ეს უმარილო რედაქციული შესწორებაა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს) მუხლი მეხუთე. სასამართლოს საქმის წარმოების ოქმი შედგენილი უნდა იქნეს იმ წესით, რომელნიც დაცულია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის გარჩევის დროს.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს) მუხლი მეექვსე. მოწმეთა დაკითხვა ოთადეა სასხლის სასამართლოს საქმის წარმოების საერთო წესით, თუ მოწმე თავის რწმენის გამო ფიცს არ დებულობს, იმას უნდა ჩამოერთოვის საერო აღთქმა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს). მუხლი მეშვიდე. თუ წინასწარ გამოძიებაზედ დაკითხული მოწმე სასამართლოში არ გამოცადედ, რა მიზეზების გამოა უნდა იყოს, სასამართლოს უფლება აქვს საქმე გაარჩიოს, თუ კი საკმარისად სწორს წაიკითხოს მოწმის ჩვენება. თუ არ გამოცადდნენ ისეთი მოწმენი, ვინც წინასწარ გამოძიებაზედ დაკითხულნი არ არიან, სასამართლოს უფლება აქვს გაარჩიოს საქმე, თუ ამ მოწმეების გამოცადეას, რაიმე მიზეზის გამო სამეულად იკითხს ან და მათ ჩვენებას არსებითი მნიშვნელობა საქმისათვის არა აქვს.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს). მუხლი მეცხრე. ყველა დანარჩენი საკითხები საქმის წარმოების წესისა სისხლის სამართლის საქმეთა „წარმოების წესდებაა“ მიხედვით სწყდება.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს). მუხლი მეათე. განხილვის გამოტანას წარ უნდა უძღვოდეს კითხვების დაყენება როგორც დანაშაულთა (виновность) ისე შეწყნარების (снисхождение) შესახებ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია. გთხოვთ შემდეგი მუხლი წაიკითხოთ.

ი. ბარათაშვილი (კითხულობს). მუხლი მეთორმეტე. თუ სასამართლომ დამნაშავე შეწყნარების ღირსად იცნო, სიკვდილის დასჯის მაგიერ, უნდა მიესაჯოს სხვა სასჯელი, მაგრამ არა ნაკლებ იმისა, რომელიც კანონშია აღნიშნული ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ი. ბარათაშვილი. (კითხულობს). მუხლი მეთორმეტე. ყველა კითხვას სასამართლო სწყვეტს ფარული ხმის უმეტესობით.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

